საიდუმლო ანბანი

მოსწავლეები ჩაწერენ სიტყვებს ასოებისთვის შერჩეული კოდების გამოყენებით.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: სიტყვის ბარათები, გამოგონილი კოდების ცხრილი.

მსვლელობა

- მასწავლებელი და მოსწავლეები შეარჩევენ სპეციალურ „კოდებს“, რომელთა მეშვეობითაც უნდა ჩაწერონ სიტყვები. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს რიცხვები 1-დან 33-ის ჩათვლით, სხვადასხვა სიმბოლო – **@☺ # $☼ % * +♫** და სხვ.
- მასწავლებელი ჩამოწერს ანბანს და თითოეულ ასოს მიაწერს შესაბამის კოდებს, შემდეგ კი გამოაკრავს თვალსაჩინო ადგილას.
- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სიტყვების ბარათებს ან ჩამოწერს სიტყვებს დაფაზე.
- მოსწავლეები დაწერენ სიტყვებს რვეულში ან დაფაზე კოდების გამოყენებით. მაგ.; კატა - 10.1.19.1.

შენიშვნა: ასოებისათვის რიცხვითი კოდის მინიჭების შემთხვევაში სასურველია, კოდები ერთმანეთისგან წერტილით ან მძიმით გამოიყოს, რომ სიტყვის სწორად ამოკითხვა არ გაჭირდეს.